საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.
ოთხშაბათი 14 მაისი 1919 წ.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!
№ 104

ერთობა

ფასი 1 მან

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ღირს 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 80 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართ. სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ალექსანდრე მიხეილის ძე, ანნა ზურაბის ასული, კვალია ართუთინის ასული და ქალები: ნინა, მანია, სირანუშ, სათენიკ, პელაგია და არმენუჰი ვახტანგოვები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს პირველი ქმრის, შვილის, მეორე შვილის შვილის უკანასკნელთა ერთად ერთის დაუვიწყარი ძვირფასი ძმის

კარაპეტა (კაპერ) ვახტანგოვის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს 14 მაისს დილის 10 ს. საკუთარ ბინიდან (მილიონის ქ. № 4, მე 8 უბანი) ქამოის წმ. გიორგის ეკლესიაში, საიდანაც შემდეგ დასაფლავდება ხოჯივანქის სასაფლაოზე.

შვილები: ილია, ლიუდმილა, თამარა, ვალენტინ და ეფემია; სიძე ნიკო დიმიტრის ძე მეგრელაძე აცხადებენ საყვარელი დედის

მარიამ ლევანის ასულის

დუმბაძის

გარდაცვალებას. დასაფლავდება 14 მაისს, ოთხშაბათს 3 ს. ორთაჭალაში.

ძმა იოსებ ბუტბაის ძე და დედა ნინა მიხეილის ასული დანელიები უწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მის ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს 15 მაისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა კალოუბნის ეკლესიაში დილის 10 საათზე და პანაშვიდი საფლავზე (წმ. ნინოს სასაფლაოზე) შუადღის 12 ს. ერთად ერთი შვილის მე-7 კლასის მოწაფის

ალექსანდრე (საშა) დანელიას

სულის მოსახსენებლად.

იტალიელების მოსვლა

ინგლისის სარდლობამ ბრძანება მიიღო კავკასიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ამავე დროს ცნობაა, რომ ამიერ-კავკასიაში შემოვა იტალიის ჯარი. იტალიელების სამხედრო მისია უკვე ესტუმრა თფილისს.

ამიერ-კავკასიას უხსოვარ დროიდან ეტანებოდენ, როგორც მოხერხებულ გზას ევროპიდან აზიაში და თანაც თავისთავად მდიდარ კუთხეს.

ამ მხრით ამიერ-კავკასიას და კერძოთ მის უკეთეს ნაწილს, საქართველოს, დღესაც არ დაუკარგავს ძველი მიმზიდველობა. პირიქით, ამ საერთაშორისო ომის დროს, როცა დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში და აშკარათ ერთი მეორეს ლუკმას სტაცებენ, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. ის კარგა ხანია იზიარებს მოულოდნელ შედეგებს ამ საერთაშორისო თამაშისა, რომელსაც ღრმა ფესვი აქვს დღევანდელ სინამდვილეში.

ჩვენმა ხალხმა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში შეიძინა ისეთი კულტურა და სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირობები, რომ შეძლება აქვს სრულიად დამოუკიდებელი იყოს თავის საქმეებში. მაგრამ ბედმა ჩვენ გვარგუნა მეზობლობა ბევრი უკულტურო ხალხის, განსაკუთრებით ბარბაროსულ ოსმალეთის. ამიტომ ჩვენი ხალხი დიდის სიამოვნებით შეეგებებოდა ყოველ ისეთ ძალას, რომელიც თითონაც ისარგებლებდა ჩვენთან კავშირით და მეგობრობით და ჩვენც გვასარგებლებდა.

ამიტომ ჩვენი ხალხი გასაგების იმედით და სიამოვნებით შეეგებოდა დიდს ინგლისს, რომლის ჯარები ამ რამდენიმე თვის წინათ შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვეწეოდით ბრძოლას ხმალით ოსმალეთთან, რომელნიც ევროპასთან დაახლოვებაში გვიშლიდენ ხელს. უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში კი აქ ბატონობდა რუსეთი, რომლის ბარბაროსული პოლიტიკა აგრეთვე მტერი იყო ევროპელობის. და აქ მოსულ ინგლისის ხალხის შვილებით საქართველო სამართლიანად ფიქრობდა ევროპასთან დაახლოვებას.

ჩვენ გვგონია, რომ ინგლისის სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით სრული თანხმობა უნდა დამყარებულიყო ჩვენსა და ინგლისს შორის, რადგან ჩვენი ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ინგლისის სარდლობამ, სამწუხაროთ, ეს ვერ შეიგნო საკმაოდ და თავის მოქმედებაში აირჩია ისეთი გზა, რომელიც ბევრად გულს უტეხდა ჩვენს ხალხს და აფუჭებდა ვითომ შემდეგში ყოველგვარ შეხედულებას დიდი ინგლისის კულტურიანობასა და სამართლიანობაზე.

როგორ მოიქცევა იტალია, რომელმაც ინგლისი შეცვალა? იქნება ის ისევ იმ გზით, რომელზედაც ინგლისის სარდლობა იდგა, თუ სხვა ხაზს აირჩევს აქ სამოქმედოთ?

იტალია ახლად აღორძინებული ქვეყანაა. სულ რაღაც ორმოცდა რვა წელიწადია, რაც იტალია შეერთდა და ერთ სახელმწიფოთ გახდა. ეს იყო 1871 წ., როცა პრუსიამ სძლია საფრანგეთს და სამუდამოთ დაემხო ნაპოლეონის თვითმპყრობელობა. მანამდის დღევანდელი იტალია, მრავალ სამთავროებათ დანაწილებული, საშინლად შევიწროებული იყო აგრეთვე ავსტრიის მხრით.

და იტალიამ თავის საკუთარ ზურგზე გამოსცადა საშინელი მონობის უღელი. ამიტომ მან იცის თავისუფლების ღირებულება და აფასებს ბრძოლას. ის ჯერ კიდევ არ არის ისე მოწყობილი ხაზინით, როგორც ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოები.

ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ იტალია ჩვენში არ დაიჭერს იმ მედიდურობით ღირსების მოპყრობას, რომელიც ასე ახასიათებდა ინგლისის სარდლობას.

და ჩვენი ხალხი შეეგებება მას, როგორც იტალიას თითონ უყვარდა თავის დროზე ყველა კეთილი მეზობლები.

ჩვენი ხალხი რაინდული ხალხია. მან იცის მეგობრობა, მაგრამ ადვილად არც მტერს დაუთმობს თავის ღირსებას და თავისუფლებას.

მილიციის გადახალისება

თფილისის ქალაქის მილიციის რეორგანიზაცია უკვე დასრულდა. დაითხოვეს ყველა ძველი კომისრები, მოიწვიეს ახლები, გადასინჯეს მილიციონერთა შტატი, ზოგი დაატუსაღეს და ზოგიც განდევნეს.

ეს ზომები, ეჭვი არაა, რამდენიმეთ მაინც დაამშვიდებს საზოგადოებას და მშვიდობიანი ცხოვრების იმედს ჩაუსახავს.

რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებში არავითარ ძალას არ შეუძლია მოსპოს ის მრავალი ბოროტი მოქმედებანი, რომელიც ხდება ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში, მაგრამ კარგათ მოწყობილი ადმინისტრაცია რომ მას საგრძნობლათ შეამცირებს—ეს ეჭვს გარეშეა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მილიციის ახალი შემადგენლობა გაამართლებს ამ იმედებს და მით დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას.

მილიციის მოქმედება ისეთ ქალაქში, როგორც თფილისია, მეტად ძნელი და რთულია. აქ არ კმარა მარტო კარგი ადმინისტრატორი იყო, უნდა იყო კიდევ კარგი დიპლომატიც. სხვადასხვა ინტრიგები, როგორც შინაური, ისე გარეშე აქ ისე გადახლართულ-ჩახლართულია ერთმანეთში, რომ ერთი უბრალო ნაბიჯს შეუძლია დიდი უსიამოვნება მიაყენოს რესპუბლიკას. ინგლისელი ქალის [illegible] მკვლელობამ კინაღამ კატასტროფა გამოიწვია. ჩვენი მალული თუ ხელფარული მტრები ყოველივე ზომებს ხმარობენ ხელი შეუშალონ ჩვენს სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას, წეს-რიგის დამყარებას, სახელმწიფოებრივი აპარატების დარღვევას, რომ მით საბუთი მისცენ „ვისაც ჯერ არს" ჩვენს მოუწიფებლობაში სახელმწიფოს მმართველ გამგეობისათვის, ასეთ და კიდევ მრავალ სხვა რთულ პირობებში მილიციის მოქმედება ერთი ათად მეტი საპასუხისმგებლო ხდება. შეგნება ამ პასუხისმგებლობისა—თავდებია მისი ნაყოფიერი მოქმედების.

რა თქმა უნდა მარტო მილიცია ვერ რას გახდება. საჭიროა მოქალაქეებმაც დაეხმარონ მას წეს-რიგის დაცვაში.

საჭიროა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა მკვლელობის, ძარცვა-გლეჯის, ქურდობის და პროვოკაციის წინააღმდეგ. და რამდენათ ენერგიულად შეუდგება მილიციის ახალი შემადგენლობა ამ თავის მძიმე მოვალეობის ასრულებას, იმდენათ, ეჭვი არაა, საზოგადოების თანაგრძნობაც მისკენ იქნება...

სერბელიზმის ილიუსტრაცია

გაზეთ „გრუზია"-ს ერთი ჩვეულება აქვს: ის იცავს ამა თუ იმ პირის უსამართლო პრივილეგიებს, საშუალებას აძლევს მათ პრესის პატრონაჟს ამოეფარონ საზოგადოების და სახელმწიფოს საზიანოთ.

და ასეთს მოღვაწეობას „გრუზია" ასაღებს, როგორც კანონიერებისათვის ბრძოლას ძალმომრეობის წინააღმდეგ.

„გრუზია"-ს განუზრახავს ინჟინერ ფონდოევის ინტერესების დაცვა. ბ. ფონდოევს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ყოფილ ამიერ-კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან საშენებლო მასალების თაობაზე, სარგებლობდა პრივილეგიებით და საკმაოდ მოითბო ხელი!

მთავრობამ სრულიად კანონიერის გზით გადასწყვიტა მასალების შეძენა. ეს იყო და ეს.

ფონდოევს, რასაკვირველია, ნება აქვს მთავრობის მოქმედებით არ იყოს კმაყოფილი. ეს მისი საქმეა. და ამიტომ არ გვიკვირს, რომ ფონდოევს პირადათ თუ ვექილის შემწეობით საჩივარი აღუძრავს.

მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია: როგორ შეუძლია პრესას მოახდინოს ზეგავლენა ამ საჩივრის და განაჩენზე: მთავრობის ძალადობის სასამართლოს ტენდენციით საკმაოა ამ თემების ეკსპლოატაციით დამტკიცება!

სწორედ ასე მოიქცა „გრუზია", მართალია სამართლიანობას იცავს ის ამ შემთხვევაში, თუ ბ. ფონდოევის ჯიბეზე გამოდის?

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რაშიდაც არის საქმე.

პრესა

„აშხატავორი" (№ 92) შემდეგს სწერს:

„როგორც ამ დღეებში ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ ცნობიდან გავიგეთ, ერევანში შემდგა რა ერთი არა ოფიციალური კომისია, რომელიც წინ სწევს სომხის ენის ხმარების საკითხს სომხურ დაწესებულებებში. გაზეთის ამ ცნობას გამოეხმაურა წერილი „ერთობის" მე 99 ნომერში".

„აშხატავორი" მოჰყავს ჩვენი გაზეთის წერილი, შემდეგი კომენტარიით.

„პატივცემული გაზეთი „ერთობა" ამით არის ამ ზომამდე გახარებული და თავისი ნაციონალისტური პოლიტიკის ამართლებს სომხეთში შედგენილ „არმენიზაციის კომიტეტის" მაგალითით.

„არის პატარა განსხვავება, რომელიც კარგი იქნებოდა მხედველობიდან არ გამოეპარა გაზეთს. აქ, (საქართველოში) სახელმწიფო გართულია არა თუ თავის სახელმწიფოებრივ ენის დაცვით, არამედ—უცხო ენების დევნით; იქ კი, (სომხეთში) მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, მოითხოვს სახელმწიფოებრივი ენის ხმარებას.

„აქ ნაციონალიზაცია არის თუ ცხოვრების მბრძანებელი მოთხოვნილებაა, არამედ—მარტო ეროვნული პოლიტიკის განუყოფელი ატრიბუტია. იქ, სომხეთში, სომხის ენის ხმარების მოთხოვნილება საჭიროების ნაყოფია. აქ სახელმწიფოებრივი ენა გაუგებარია 75 პროცენტისთვის. იქ ჩინოვნიკების ენა გაუგებარია ხალხის 95 პროცენტისთვის".

იქ, სომხეთში რომ ჩინოვნიკების ენა გაუგებარია ხალხის დიდი ნაწილისათვის, ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მაგრამ ვიცით ისიც, რომ სომხეთში გაბატონებული ბურჟუა-ბანკირები დემოკრატიის ინტერესებზე მაღლა აყენებენ საკუთარ ინტერესებს. რაც შეეხება იმას, ვითომ საქართველოში სახელმწიფოებრივი ენა, (ე. ი. ქართული) გაუგებარი იყოს ხალხის 75 პროცენტისთვის, ეს მაჩვენებელია „აშხატავორი"-ს „სტატისტიკის" უცოდინარობის: „აშხატავორი", ალბათ, ფიქრობს, რომ ქართველ გლეხათ ჩასათვლელია მთელი თფილისში მცხოვრები ლტოლვილები და ყოფილი რუს-სომხის ჩინოვნიკები!

სატარიფო პალატა

(შრომის სამინისტროსთან).

ცხოვრების სიძვირე, რომელიც დღითი დღე იზრდება, აიძულებს მუშებს მოთხოვნილებები წარუდგინონ მწარმოებლებს სამუშაო ქირის მომატების შესახებ.

ამ ორი წლის განმავლობაში ხშირი იყო ასეთი მოთხოვნილებების წარდგენა, მაგრამ მომატების მოთხოვნა ხდებოდა არა ერთ და იმავე დროს და გამომუშავებული სამუშაო ქირა მუშების მიერ არ იყო ერთგვარი.

მიზნათ იყო დასახული ბრძოლა სიძვირესთან, მაგრამ, რადგანაც სამუშაო ქირის დაწესება ხდება არა რეგულიარულათ და ერთ და იმავე დროს არ ემატებოდათ მუშებს ხელფასი, ეს უფრო აძნელებდა მდგომარეობას და ხელს უწყობდა სიძვირის გაძვირებას. ერთ წარმოებაში რომ ემატებოდათ მუშებს სამუშაო ქირა, ეს იწვევდა სიძვირეს იმ წარმოებაშიაც, სადაც მუშებს არ ჰქონდათ მომატებული ხელფასი. მუშა ზარალობდა, რადგანაც მისი სამუშაო ქირა გაცვლილებით ნაკლები იყო, ვიდრე საარსებო საგნების ფასი ბაზარზე. ერთ და იმავე დროს ყველა წარმოებაში თანასწორათ რომ ემატებოდეთ ხელფასი მუშებს, მაშინ სულ სხვა პირობები შეიქმნებოდა. არც ის არის ნორმალური, რომ სხვადასხვა წარმოებებში ერთი და იგივე კატეგორიის მუშები (პროფესიით და კვალიფიკაციით) იღებენ არა ერთგვარ სამუშაო ქირას.

ეს ქმნის მუშებს შორის კონკურენციას და მუშები ერთი წარმოებიდან მეორეში გადადიან. ეტანებიან იმ ქარხანას, სადაც მას მეტ სამუშაო ქირას მისცემენ. ყველა ეს გაითვალისწინა საქართველოს პროფესიონალური საბჭოების ყრილობამ, რომელიც მოხდა აპრილში და დაადგინა: დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში სამუშაო ქირის საკითხის მოწესრიგება.

პრაქტიკულათ ამ საკითხის გადაწყვეტა შეეძლება ტარიფის პალატის დაარსებით. სატარიფო პალატა ერთ და იმავე დროს მთელ რესპუბლიკისათვის შეიმუშავებს სამუშაო ქირას ყველა კატეგორიის მუშებისათვის. მხედველობაში მიიღებს კვალიფიკაციას და ტერიტორიას, შემოღებულ იქნება სტატისტიკა, სურათის გამოსარკვევად, პერიოდიულათ გადასინჯავენ არსებულ ტარიფებს. ყველა კავშირებმა კოლექტიური ხელშეკრულებანი უნდა წარადგინონ სატარიფო პალატაში, რათა ხელშეკრულებებს ერთი და იგივე ხასიათი მიეცეს. პალატა მიიღებს რა მხედველობაში ცხოვრების გაძვირებას, ხელფასის მომატებას დააწესებს არა ერთი რომელიმე ჯგუფისათვის, არამედ ყველა მუშებისათვის, არა ერთი რომელიმე წარმოების დარგში, არამედ მთელ წარმოებაში. მუშათა პროფესიონალური საბჭოების კოორდინაცია მოქმედების გამოიწვევს მთელ მწარმოებლების მოქმედების კოორდინაციას. და ეს კი აცილებს ზედმეტ კონფლიქტებს და გაფიცვებს. მაშინ ჩვენ დავხარჯავთ ამ კონფლიქტების გადაწყვეტაში ნაკლებ დროს და ენერგიას და ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას.

სატარიფო პალატის შემადგენლობა იქნება შემდეგი: თან-ბარი წარმომადგენელი მუშებისაგან და მწარმოებლებისაგან. თავმჯდომარეთ იქნება შრომის სამინისტროს წარმომადგენელი.

მუშათა წარმომადგენლებს გამოგზავნიან შემდეგი დაწესებულებანი: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოდან სამი წარმომადგენელი, თფილისის კავშირების საბჭოს ბიუროდან 3 წარმომადგენელი, რკინის გზელების კავშირიდან 4 წარმომადგენელი. მწარმოებლებიდან: 2 წარმომადგენელი ფაბრიკანტების და ქარხნების საზოგადოებიდან, ერთი შავი ქვის საბჭოდან, ერთი წარმ. ვაჭრობა-მრეწველობის პალატიდან, ერთი წარმ. ქალაქთა კავშირიდან, ერთი წარმ. ერობებიდან, ერთი წარმ. რკინის გზის სამინისტროდან, ერთი წარმ. მიწათმოქმედების სამინისტროდან.

თუ საჭირო იქნება, დაარსდება კომისიები, სადაც დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ეს არის ძირითადი დებულება ამ პალატისა.

სატარიფო პალატის მოწყობა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, რადგანაც სურსათის კრიზისი და არსებული სიძვირე გვაიძულებს, რომ გადაწყვეტილ იქნეს სამუშაო ქირის ფასის საკითხი.

შრომის სამინისტროს იმედი აქვს, რომ როგორც მუშათა ორგანიზაციები, ისევე მწარმოებლები მიაქცევენ სათანადო ყურადღებას და თავიანთი მუშაობით შექმნიან უკეთეს პირობებს ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ, ეკონომიურ სფეროში და აგრეთვე გააუმჯობესებენ მშრომელთა კლასის მდგომარეობას და ხელს შეუწყობენ წარმოების ნორმალურ განვითარებას.

სამინისტრო სთხოვს ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები და გამოგზავნონ სატარიფო პალატის პირველ სხდომაზე, რომელიც შესდგება 16 მაისს საღამოს 6 საათზე შრომის სამინისტროს შენობაში.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.

საქმეთა მმართველი გოლდმანი.

უკანასკნელი ცნობები

თფილისი, მაისის 12. საქართველოს რესპუბლიკის გზათა მიმოსვლის სამინისტრო საჩქაროდ იხილავს საუღელტეხილო თფილის-კავკავის რკინის გზის პროექტის კონცესიის გადაცემით. საუღელტეხილო რკინის გზის ამხანაგობის გამგეობა საქართველოს მთავრობისაგან კონცესიის მიღების შემდეგ თერგის ოლქის მთავრობის წინაშე შუამდგომლობას აღძრავს, რომ დაამტკიცოს კონცესია. რკინის გზის დანარჩენ ნაწილზე, რომელიც თერგის ოლქის ტერიტორიაზე სადგურ ლარსიდან სად. ბესლანამდე. (ს. დ. ს.)

[illegible] გვატყობინებენ: ვიდრე ოდესას დასტოვებენ, მოკავშირეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ინდოეთში მყოფი დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ არას დროს ისე მტკიცე არ ყოფილა ინგლისის მდგომარეობა ინდოეთში როგორც ახლა არისო.

გერმანიაში არც ერთი მიმდინარეობა არ არის იმის მომხრე, რომ ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულობას.

გერმანელი კომუნისტები მოითხოვენ რუსეთთან კავშირის შეკვრას მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ბერლინში სამხედრო საველე სასამართლოში დაიწყო ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის მოკვლის საქმის გარჩევა.

ბოლშევიკებთან შეთანხმებით თავის ინტერესთა დაცვა ოდესაში მიანდეს საქართველოს წარმომადგენელს. ბოლშევიკებმა განუცხადეს მოკავშირეებს, რომ ისინი არ დაეთანხმებიან, რომ მოკავშირეთა ინტერესების დამცველად იყოს სხვა ვინმე, გარდა საქართველოსი ვინაიდან საქართველომ თავი ნეიტრალურად გამოაცხადა.

თბილისი. (ოფიციალურად) ინგლისელ ექიმ მაგუენის მოკვლის გარშემო საქართველოს რესპუბლიკის მტრები ათასგვარ ჭორს და პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ. ამ ფაქტით მტრები სარგებლობენ და თავიანთ ბნელ საქმეების გაკეთებას ლამობენ. საქართველოს მთავრობა სწუხს რა მომხდარი ფაქტის გამო, ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ მიღებულია ყოველივე ზომები გაქცეულ დამნაშავეთა შესაპყრობათ. სასამართლოს გადაეცენ ის პირნი, ვისაც გაექცნენ დამნაშავენი.

ბაქოს გუბერნატორის 9 მაისს ცნობა მიუღია, რომ სამხედრო პორტში მყოფ ბარჟა „ზელაიაზე" დიდი ძალი იარაღი არისო. პორტს ალყა შემოარტყეს და დაიწყეს ჩხრეკა. აღმოაჩინეს 4 შორს მსროლელი ზარბაზანი, აფეთქებული ყუმბარები, ტყვიისმფრქვევლები, დიდი ძალი თოფები და ორი მილიონამდე ტყვია. ბარჟის და იარაღის კონფისკაცია მოახდინეს და გადასცეს სამხედრო უწყებას. როგორც ხმები დადის, ეს ბარჟა დარჩენია ყოფილ „ცენტრო კასპის" და იარაღის გადაცემა სდომებიათ გაფიცულ ბოლშევიკ მუშებისათვის („ად.")

იტალიის სოციალისტები და კომუნისტური ინტერნაციონალი.

(ფრანგულ გაზეთ „ლე ტემპ"-ის 24 მარტის ნომერი).

„როგორც ვიცით, იტალიის სოციალისტებმა არ მიიღეს მონაწილეობა ბერნის საერთაშორისო კონფერენციაში. პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა, 10 ხმით წინააღმდეგ სამისა, დაადგინა, რომ იტალიის სოციალისტური პარტია უნდა გამოვიდეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროდან და შეუერთდეს რუსეთის კომუნისტების მიერ დაარსებულ „მესამე ინტერნაციონალს". ხელმძღვანელმა კომიტეტმა ასე დაასაბუთა თავისი დადგენილება:

„აღვნიშნავთ, რა რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ღონისძიებანი, რომელიც მიმართული იყო სოციალისტურ პროლეტარიატის ღონისძიებისაკენ, ჩიოფუში და სასურველ მიზანს ვერ მიაღწია, ეს ბიურო ტყვედ არის ანტანტის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის და დამყარებული ბერნში ალიანსი მოკავშირეთა იმპერიალიზმის სოციალ-პატრიოტული ტენდენციების, ცენტრალურ იმპერიების სოციალ-პატრიოტულ ტენდენციებთან, გვიაშკარავებს რეაქციონურ ხასიათს ყველა ფრაქციებისას, რომელთაც უღალატეს იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებულ ჰქონდა ინტერნაციონალს კაპიტალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმ ბურჟუაზიის, რომელმაც ჩაითრია ერები ომში.

ხელმძღვანელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ წარმოუდგენელია არსებობა ერთ ორგანიზაციაში მათი, რომლებმაც არ უღალატეს ინტერნაციონალის პრინციპებს იმ პირებთან, ვინც უღალატეს ამ პრინციპებს და უმალაც კი წინააღმდეგი არიან სოციალიზმის განხორციელებისა".

ხელმძღვანელ კომიტეტის უმცირესობამ გამოაქვეყნა განცხადება. ისინი არ იზიარებენ ზემოთმოყვანილ დებულებებს და ამტკიცებენ, „რომ დაარსება მესამე ინტერნაციონალისა იმ დროს, როდესაც არსებობს მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა ორგანო, დამღუპველი ნაბიჯის გადადგმა არის და ეს გამოიწვევს პროლეტარიატის გათიშვას.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 მაისი

საზღვარგარეთის ცნობები.

ლონდონი, მაისის 11. ალტენბურგი, მაისის 10. „ნეიე ფრიიე პრესსე"-ს ცნობით გერმანულ ავსტრიის ყველა პოლიტიკურ პარტიების დეპუტატებს საზავო ხელშეკრულების პირობები გერმანიისთვის მიუღებლათ მიაჩნიათ. ნაუენი, მაისის 9. უცხოეთის პრესა უკმაყოფილოა საზავო ხელშეკრულების პირობებით და ამტკიცებს, რომ ეს ზავი იქნება მიზეზი ევროპაში მრავალი კონფლიქტებისა მომავალში, იგი საერთო ზავისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ეკონომიურ და პოლიტიკურ გადატრიალებამდე მიიყვანს საქმეს, რის შემდეგ ბოლშევიზმის გავრცელების შეჩერება შეუძლებელი გახდება. პარიზი, მაისის 10. „ეკო პარიზიენი"-ის ცნობით საფრანგეთის საპარლამენტო წრეები საზავო ხელშეკრულებით კმაყოფილნი არიან. ლიონი, მაისის 8. საზავო ხელშეკრულების ტექსტი: ომი დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს. ეხლანდელ ხელშეკრულების პირობების ასრულებით იწყება ოფიციალური კავშირი მოკავშირეების, გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოების და გერმანიის ყველა სახელმწიფოსთან. ხალხთა ლიგის ხელშეკრულება ავალებს საერთაშორისო უფლება დაცული და ხელშეკრულება ასრულებული იქნას. ხალხთა ლიგის მონაწილეთ და დამაარსებლათ ითვლებიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. შემდეგ სახელმწიფოებს მოუწოდებენ მიემხრონ ხელშეკრულებას: დანია, ესპანია, ნორვეგია, პარაგვაი, ჰოლანდია, სპარსეთი, სან სალვადორი, შვეიცარია და ვენეცუელა. ისინი იქნებიან მონაწილენი ხალხთა ლიგაში იმ პირობით, თუ მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში აუცილებლათ მიიღებენ ხელშეკრულებას. ლიგაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და თვითმართველ ახალშენს, თუ ლიგის ორი მესამედი მის მხარეზე სდგას. გერმანია არ ითვლება ლიგაში არც მონაწილედ და არც დამაარსებლათ და შეიძლება მონაწილეთ ჩაითვალოს, თუ ლიგის ყრილობის ორი მესამედი მიიღებს მას, როდესაც წარადგენს საერთაშორისო ვალდებულების გულწრფელათ მიღების გარანტიას. ლიგიდან შეიძლება გამოირიცხოს ყველა მონაწილე, ვინც იმ ვალდებულებას დაარღვევს, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ჟენევაში შემდგარ ლიგის საქმიანობა ცხოვრებაში გატარდება ყველა მონაწილეთა წარმომადგენლების ყრილობის შემწეობით. თითო სახელმწიფოს 3-ზე მეტი წარმომადგენელი არ უნდა ყავდეს, ცხრათა საბჭოში კი თითო სახელმწიფოს თითო ხმა ექნება. და სხვა წარმომადგენლები, რომელთაც სხვა სახელმწიფოების ყრილობა დანიშნავს.

მოსკოვი (გადმოცემა). ნაუენი. მაისის 10. ბერლინში. სამხედრო, საველე სასამართლოში ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის საქმის გარჩევა დაიწყო.

კიევი. მაისის 10, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა რაკოვსკიმ ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროს შემდეგი რადიო გაუგზავნა. ორი ნახევარი თვის განმავლობაში რამოდენიმე პროტესტის მიუხედავათ გერმანიის მთავრობა განაგრძობს ჩვენი რწმუნებულების კარლ რადეკის ტყვეთ ყოლას, რომელიც ამაღლებულ პირობებში იმყოფება. რადეკს გარკვეული ბრალდება არ წარუყენეს. მისი დაპატიმრება პოლიტიკურ რეპრესს წარმოადგენს. ამის გამო მთავრობამ უკვე განკარგულება მოახდინა ოდესაში მყოფ გერმანულ ელჩის დაპატიმრების შესახებ და გერმანიის მთავრობას აფრთხილებს, რომ გერმანიის ელჩი და გერმანიის სხვა მოქალაქენი, რომლებიც მძევლებათ ჰყავს, გამოშვებული იქნებიან მხოლოდ რადეკის განთავისუფლების შემდეგ.

მოსკოვი. მაისის 12. სამხედრო ცნობა —მაის. 12. დასავლეთის ფრონტი. ჩუდის ტბის რაიონში მოწინააღმდეგის ცდამ დესანტისთვის ალყა შემოერტყა უნაყოფოდ ჩაიარა. დაზიანდა მტრის ერთი გემი. მარიენბურგის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ესტონიის წითელმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ვოლმარის რაიონი. გაინაშის ჩრდილოეთით ბრძოლა. ვილნის რაიონი: ნოვოსვენციანის და მოლოდეჩნოს მიმართულებით ჯავშნიანი მატარებლების ბრძოლა. ლუნინეცის რაიონი: საარტილერიო ბრძოლა. სამხრეთის ფრონტი: დაბალცევოს სამხრეთით მოწინააღმდეგემ გაარღვიეს სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილი დაიჭირა, მაგრამ ჩვენ კონტრიერიშებით უკუ აგდეს. ლუგანსკის რაიონი: მოწინააღმდეგე დონეცზე გადავიდა. ნოვობერდიანსკის რაიონში ბრძოლა. სამხრეთით ჩვენი ჯარი დონეცზე გადავიდა და გუნდოროვსკაი დაიჭირეს. ტიხორეცკაიას და სტავროპოლის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს. აღმოსავლეთის ფრონტი. ცნობები არ მოსულა.

ინგლისური პრესის ცნობები:

გერმანელების დელეგატებმა ნოტა უკვე ჩააბარეს. ამ ნოტით ისინი საზავო პირობების გამო პროტესტს გამოთქვამენ. მოკავშირეებმა უპასუხეს, რომ მათ სახეში ჰქონდათ ის პრინციპები, რომლებიც მიღებული იყო დროებითი ზავის ჩამოგდების დროს, საზავო პირობების არსებით მხარეების წინააღმდეგობას ისინი არ დაუშვებენ. ხოლო სასარგებლო განცხადებას კი მიიღებენ მხედველობაში. ვერსალში გერმანიის დელეგატები ძლიერ არიან საქმეებით გართული. ბევრი მათგანი სხვა და სხვა საქმეთა გამო ხშირათ მიდიან ვეიმარში და უკან ბრუნდებიან.

ინდოეთში მყოფი დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს: „ჩვენი მდგომარეობა ინდოეთში ისე მტკიცე, როგორც ახლა არის, არასოდეს არ ყოფილა, რადგან ომმა ბევრი რამ საერთო შექმნა ჩვენსა და განათლებულ ინდოელებს შორის, რაც წინათ არ ეჩხებოდა".

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ბოლგარიის ჯარმა რუშჩუკთან და სხვა ადგილებში დემონსტრანტ ბოლშევიკების წინააღმდეგ სროლაზე უარი განაცხადეს.

ბოლშევიკების მოწინააღმდეგე რუსის ჯარი ზედ პეტროგრადზე მიდის.

შეიდემანი ორშაბათს წარმოსთქვამს სიტყვას, რომელშიც ის განმარტავს გერმანიის მთავრობის შეხედულებას საზავო პირობებზე.

ოთხთა საბჭოს შაბათს ჰქონდა თათბირი ზომების მიღების შესახებ, თუ ვინიცობაა გერმანელები ეცდებიან, რომ მოკავშირეებს ადვილათ დაახწიონ თავი. მოსალოდნელია ვილსონი ვაშინგტონში დაბრუნდეს ივნისის შუა რიცხვებში.

როგორც სჩანს, გერმანიის დელეგატები ბერლინში დაბრუნდებიან, ვერსალში დატოვებენ მხოლოდ მცირე რიცხვს. ისინი მზათ არიან უარი განაცხადონ ხელი მოაწერონ. დელეგატების ნაწილის აზრით ამ შემთხვევაში შეიძლება კომპრომისზე წასვლა, მაგრამ მაშინ, მათი აზრით, საჭიროა მოლაპარაკება გათავდეს ივნისის ბოლომდე: პირველათ იმიტომ, რომ გერმანიის მთავრობა მხარს ვერ დაუჭერს სამშვიდობო ხელშეკრულებას და გადადგება, თუ ხელშეკრულება შეცვლილი არ იქნება: მეორეთ—ახალ მთავრობას შეეძლო ხელი მოეწერა, თუ ამაზე ხალხის თანხმობა იქნებოდა, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანა საეჭვოა.

ხელშეკრულება ვილსონის პრინციპებთან უნდა დარჩეს შეთანხმებული, ამიტომ დროებითი ზავის ხელის მოწერა კანონის დარღვევა იყო. ისინი ვილსონის ნოტას ეყრდნობიან.

ფრანგული პრესის ცნობები.

გადაწყვეტილია 800,000 ტონა გაყინულ ხორცის ყიდვა, რომელიც გერმანიაში შემოიტანენ მოკავშირეებმა ნება დართეს. ლიკვიდაცია ფლოტილიებით უნდა იქნეს გადახდილი. ცნობებია, რომ ნებას დართავენ ჩრდილოეთის ზღვიდან გერმანიის და ავსტრიის დატყვევებულ ნავთსადგურებში გამხმარ თევზის შემოზიდვას.

ჰელსინგფორსის გაზეთის „ტამ-ლანტ"-ის მთავარი რედაქტორი გამომცემელი ნილს კრისტიანსენი, გერმანიიდან შვეციაში დაბრუნებისას, სხვადასხვა ქალაქში სიტყვებს ამბობს გერმანიაში მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ. ვერსალის წინადადება, ის ვილსონის 14 მუხლის პაროდია არისო და აცხადებს, რომ გერმანიაში ყველა უკიდურეს მემარჯვენიდან დაწყებული მემარცხენემდე სამართლიან ზავის შესახებ მოტყუებულად გრძნობს თავს. მოკავშირეებს შეუძლიათ მხოლოდ ძალით მოახვიონ ეს ზავი გერმანიას, მაგრამ გერმანიას ვერა, დროს ვერ აიძუ-

---

საუბარი სოფლის ხალხთან

უქმე დღე იყო. მაისის ბრწყინვალე მზე თავს დაჰქათქათებდა ამწვანებულ და აფეროდებულ ველ-მინდვრებს და ქარლუქი სხივების უთვალავ ისრებს სტყორცნიდა გულ მხიარულ ბაღ-ბაღებს.

თამაშუშვა კაკლის ქვეშ მოგროვილიყო ხალხი და ზოგი მხართეძოზე წამოწოლილიყო, ზოგი ჩიბუხს აბოლებდა; სხვები ერთი მეორეს ესაუბრებოდნენ.

— ზაქარია, რიღის მიდიხარ ქალაქში?

— მე შენ გეტყვი, გაუმწარდება! განდა სამხარაძის დუქანში ჩასულა, განდა ქალაქში წაუყვანია, მაგისთვის სულ ერთია!

— რა ალაგინანი ლაპარაკობით; ათი სული ხიზანი შესანახი მყავს და მე რითი გავჩინო?—დაიწყო ზაქარიამ.

— ეგ, ოჯახსა დიდი ხარჯი უნდა, დიდი.

— შვიდი თუმანი ქალამანი გახდა. თითო პერანგი ათი თუმანია და თუ კი იშოვნე სადმე, ფულს ვინღა წუხს!

— ერთი კოჭა ძაფი ოცი მანეთია. კაცო, სად გაგონილა და სად მონახულა ამისთანა ამბავი?

— მე და ჩემმა ღმერთმა ი ვაჭრები სულ ჩამოსაღრჩობი არიან.

— შენ რომ ათ-ათ თუმნათ ფუთი სიმინდი გაყიდე, ის როგორღა იყო გენ? თუ ჩამოღრჩობაზე მიდგება საქმე, უმალ შენიდან დავიწყოთ.

— შე კაი კაცო,—დაიწყო გიომ,—ჩემი ქალამანიც, პერანგიც და ძაფიც ის არის და რაგვარც მე მამყიდი, მეც ისე მოვყიდი. მე რა ვქნა კაცო, ცოლი შესამოსია, შვილი და რძალი.

— გიოს მართალს ამბობს, მართალს. ოჯახს ვეღარ გავწვდით. იმ დღეს ბაზარში ერთი ინდაური თხუთმეტ თუმნათ გაჰყიდე. მე თვითონ მრცხვენოდა, რო ვაფასებდი, მარა ა ოჯახს რა ვუყო კაცო, დიდი ხარჯი პირდება, დიდი.

— ჩვენი მთავრობა ამას კი არ დაგიდევს,—დაიწყო ერთმა.—ბოლოც გადასახადი შემოუღია და დესეტინაზე ათი თუმანი უნდა გადაიხადოს გლეხმაო.

— რას არ მოიგონებენ, სოფლის მეპურეები, ამა ვინა თქვა ეგ?

— ვინა და გუშინ ჩვენმა მასწავლებელმა გაზეთში ამოიკითხა.

— ნუ დაიჯერებ, ნუ. რო მოგადგებიან და ამოგაჯაჭვებენ ფულებსა, მაშინ ხომ დაიჯერებ?

— ძველი მთავრობა იმიტომ ჩამოაგდეს, რომ გლეხებს ტყავს აძრობდათ და ახალმაც თუ ეგ საქმე შემოიღო, არაფერი აღარ დაიჯერება ქვეყანაზე.

— ეჰ, ჩემო დიმიტრი. ყველა ჩვენ გვატყუებს, ყველა. ჩვენ ავვირჩიეთ, არაფერს არ გადაგვახდევინებთო. ავირჩიეთ და ახლავე გადასახადებს გვაწერენ.

— რასა ამბობთ, მოქალაქენო? მიმართა კრებულს შემოსწრებულმა მასწავლებელმა.

— სწორეთ კაი დროს მოხვედი, მასწავლებელო, მართალია, მთავრობას ახალი გადასახადი გაუწერია გლეხებზეო.

— ათი თუმანი დესეტინაზეო, ვინ გაიგონა, ქრისტიანი არა ხარო?

— ჯერ შეგვპირდენ, არაფერს არ გადაგახდევინებთო და ახლა ტყავი უნდა გაგვაძრონ?

— ჩვენ იმისთანა მთავრობა სწორეთ არ გვინდა, რომელიც გლეხს ფულს გადაახდევინებს!

— ჩვენ ერთი კაპეიკიც არ გადავიხდით, მდიდრებმა გადაიხადონ. ცხარობდა ერთი ახალგაზრდა გლეხი. ეტყობოდა ნასადილევარი იყო.

— ნუ ცხარობთ, ნუ ცხარობთ. დინჯათ ვილაპარაკოთ. დაიწყო მასწავლებელმა. აი თუნდა შენ გიო, ოჯახის პატრონი ხარ და ერთი ეს მითხარი, არაფერი გეხარჯება ოჯახში?

— რას ამბობ, მასწავლებელო, ხარჯს ვეღარ ავუდივარ, ლამის არის, ფიქრით ქვეყანაზე შევიშალო.

— შენ, აღ ფეხ, ოჯახი ხარჯსა გთხოვს თუ არა?

— ახლანდელ სიძვირეში მასწავლებელო, ოჯახს ცოტა ხარჯი დასჭირდება? ქრისტეს მადლმა ასი თუმანი მარტო შესამოსი არა გვყოფნის.

— ახლა ეს მითხარით, მთავრობას აქვს თუ არა ოჯახი?

— ალბათ რო აქვს, ყველა ხო უცოლშვილო არ იქნება, ზოგს ცოლი ეყოლება, ზოგს დედ-მამა.

— არა, მე მაგას კი არ გეკითხებით,—დაიწყო მასწავლებელმა, ოჯახი ის არის, რაც თქვენი საპატრონოა და მთავრობას ჰყავს თუ არა ვინმე საპატრონო?

— როგორ არა ჰყავს, ჩვენ ყველა მისი საპატრონო არა ვართ?

— მთავრობა იმიტომ გვინდა, რომ კიდეც უნდა გვიპატრონოს, კიდეც მოგვხედოს, ყური გვიგდოს და მოგვიაროს.

— სრულ ჭეშმარიტებას ამბობთ; მთავრობა იმისთ მთავრობაა, რომ უნდა გვიპატრონოს და მოგვიაროს. მაგრამ ამგვარი საპატრონოდ, მოსავლელი მარტო ჩვენა ვართ?

— მარტო ჩვენ როგორა ვართ, მთელი [illegible] მისი საპატრონებელი არ არის?—წარმოთქვა ერთმა გლეხმა.

— მთელი საქართველო ჩვენ მთავრობას აბარია, ჩვენი მთავრობის ერთი დიდი ოჯახია. ამ საქართველოში, ამ ოჯახში სამი მილიონი სული მაინც იქნება, თუ მეტი არა.

— კაი გვარიანი ყოფილა, მაგდენი არ მეგონა, დაიწყო ერთმა.

— ახლა ეს მითხარით, განაგრძო მასწავლებელმა: თქვენს პატარა ოჯახს, სადაც შვიდი რვა სულია, დიდი ხარჯი უნდა და მთელ საქართველოს, სადაც სამი მილიონი მცხოვრებია, ცოტა ხარჯი დასჭირდება?

რა თქმა უნდა, ბევრი დასჭირდება.

— ბოლოები კი არა ვართ, მასწავლებელო, მაგდენი ჩვენც გვესმის.

— მართალია, მართალი; ჩვენ ჩვენსას ვლაპარაკობთ და სხვისი ჯავრი კი არა გვაქვს.

— აი თქვენ მულამ ჩივით, სიძვირეა, ოჯახს დიდი ხარჯი სჭირდებაო და მთავრობის მდგომარეობა უფრო მძიმე არ არის? იმან მთელ საქართველოს უნდა მოუაროს და უპატრონოს—ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, რაჭას, სვანეთს,—რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ.

— ეგ მართალია, მარამ ჩვენ რა შუაში ვართ?

— გლეხებს არაფერი არ უნდა გადახდეს, ბურჟუებს გადაახდევინოს მთავრობამ, წარმოსთქვა ნასადილევარმა.

— აბა კარგათ გაუფიქრდით კბილი მაგ შენ ნათქვამს, არჩილ. აი თქვენს სოფელში რამდენია ბურჟუა?

— ჩვენს სოფელში არცერთი არ არის, ყველა გლეხები ვართ.

— აი გაღმა ფერონგეში?

— იქ ათიოდე კომლი აზნაურია, დანარჩენი გლეხებია.

— საზანოში, არგვეთში, ჭალაში, ნიქოზში?

— თავადები და აზნაურებიც არიან, მარა მეტი წილი გლეხობაა.

— ჰოდა, ჩემო არჩილ, აგრეა მთელ საქართველოში. დიდ უმრავლესობას ჩვენს ქვეყანაში გლეხობა წარმოადგენს. ვაჭრები და მდიდრები უმცირესობას შეადგენენ.

მთავრობას ძალიან ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი. ბევრ საქმეს დიდი ხარჯები უნდა. ვაჭრებსა და მდიდრებს, რასაკვირველია, უნდა გადაახდევინოს და მთავრობა კიდეც ახდევინებს, მაგრამ იმათ ტყავიც რომ გააძრო, მთელი ქვეყნის საჭიროებას მაინც ვერ გასწვდება. ჩვენი ქვეყანა გლეხების ქვეყანაა, დიდ უმრავლესობას გლეხები შეადგენენ და, თუ გლეხებმა გადასახადი არ გადაიხადეს, არაფერი არ გაკეთდება.

— მე და ჩემმა ღმერთმა მართალს ამბობს, მართალს.

— თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ უფულოთ არავითარი საქმე არ გაკეთდება, დაიწყო მასწავლებელმა. უკეთესი ხარი რომ დაგჭირდეთ, იმასაც კაი ფული უნდა ახლა, ასე არ არის?

— აგრეა, აგრე მასწავლებელო.

— ჰოდა და თქვენ კი იძახით: მთავრობამ ყველაფერი გაგვიკეთოს და ნურაფერს ნუ გადაგვახდევინებსო. ქვეყანა ხალხი ხართ და თქვენ თვითონ დაფიქრდით, ჭკუაში მოსასვლელია ეს?

— სწორეთ არ არი ჭკუაში მოსასვლელი!

— მარტო მთავრობამ რა ქნას, თუ ჩვენც ხელი არ შევუწყეთ.

— ვინც იმას ამბობს, გლეხებმა გადასახადი არ უნდა გადაიხადონ და საქმე კარგათ წავაო, ან განზრახ გატყუებთ, ან არაფერი გაეგება. დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ქვეყანა, რომ გლეხები გადასახადს არ იხდიდნენ და ამასაც გეტყვით, სხვაგან—აი თუნდა ინგლისში—ხალხი ბევრათ მეტს იხდის, ვიდრე ჩვენში. თუ გინდათ, რომ თქვენი საქმე კარგათ მოეწყოს, ხარჯსაც არ უნდა მოერიდოთ. როდესაც თქვენ მთავრობისათვის არაფერს არ იძლევით, რა უფლებით, რა სინიდისით უნდა მოსთხოვოთ მთავრობას, ეს და ეს გაგვიკეთეო?

როდესაც თქვენ მისცემთ მთავრობას იმას, რაც ქვეყნისათვის საჭიროა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, რომ მდიდარია იგი. ჰამბურგიდან ტური სტრანსპორტი და გუბერნატორ- ხაზერი ჟურნალში გადაგზავნენ, რო- ც სახალშენო საკითხების ექსპერ- ტები.

გერმანიის ყველა ოლქიდან მოდის პროტესტები ვერსალის ზავის გამო. ლა რეზოლუცია იწყება ვილსონის დეკლარაციით, როგორც მაგალითად 1918 წ. აპრილში ნათქვამი შემდეგი სიტყვებით: „მოლოს და მოლოს ჩვენ თა ვართ გერმანიისადმი იმდენადვე სამართლიანობა, რამდენა- ც სხვებისადმი. თუ სამოქალაქო ხელ- შეკრულება სამართლიანი უნდა იყოს, მაშინ მასში გარჩევა არ იქნება.

ბერლინის მუშათა საბჭოების დე- ლეგატთა კრებაზე წაიკითხეს დამოუკი- დებელ სოციალისტთა რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს ვერსა- ლის ნაძალადევ ზავის გამო. კომუნის- ტებმაც გამოიტანეს რეზოლუცია, რო- მელიც ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებს რუსეთის საბჭოთა რევო- ლუციასთან შეთანხმებით მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის შეწყო- ბით ერებს ნამდვილი თავისუფლება მიანიჭოს.

ლიონის ოფიციალური ცნობებით და- ნიის ელჩს პარიზში დეპეშით გადასცეს ინსტრუქციები, რომლებშიაც დანიის მთავრობა და პალატა შლეზვიგის შე- სახებ წინანდელ აზრს იმეორებენ.

ფლენსბურგის პრესაში საზავო ხელშე- კრულების გამო პროტესტები ძლიერ- დება. პარასკევს გამოსული შვედური გაზეთები მკაცრად აკრიტიკებენ ხელ- შეკრულების ყველა ნაწილს. ასე, მაგა- ლითად, „სვენსკა ტაგებლადეტ“ ზავის შესახებ ამბობს, რომ გამარჯვებულ- თა ორგიის შედეგია და თუ ეხლა ვინმე იხსენიებს ვილსონის 14 მუხლს, მხოლოდ იმისთვის, რომ წინააღ- მდეგობა უფრო აშკარა გახადოს. ეხლა უკვე აღარავინ ლაპარაკობს ისეთ ზავის შესახებ, რომლის დროსაც გა- მარჯვებულნი და დამარცხებულნი არ იქნებიან. „სოც.-დემოკრატენ“ სწერს: „ზავი იმ სახით, როგორც ეხლაა, არამც თუ შეურაცხყოფს და ალალებს გერმა- ნიის ერს, არამედ ამცირებს კაცობრიო- ბის უფლების და სამართლიანობის იდეა- ლებს.

ახალი ამბები

არჩევნები ბორჩალოს მაზრაში. დღეს შესდგება დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც გაირჩევა საკითხი ბორჩალოს მაზრაში დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნების შესახებ.

◆ **არამიანცის გატაცება.** 12 მაისს, საღამოს 8 საათზე მილიონერ მ. ი. არამიანცს, რომელსაც ის მიუახლოვდა სერგეევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეს, თავს დაესხნენ 3 შეიარაღებული პირნი დაიჭირეს და იქვე გაჩერებულ ავტომობილში გაიტაცეს. ეს ამბავი ისე სწრაფად მოხდა, რომ დამსწრეებმა ვერ მოახერხეს მილიციონერების დაძახება. რამოდენიმე ხნის შემდეგ მილიციამ მიიღო ზომები და აღმოაჩინა ავტომობილის შოფერი, რომელიც დააპატიმრეს. შოფერი უარყოფს გატაცებაში მონაწილეობის მიღებას.

◆ **პური.** ქალაქის გამგეობის წევრის განცხადებით, ამ ახლო მომავალში ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოიტანენ 80 ვაგონ ფქვილს. ამის გარდა ქალაქის გამგეობა მოლაპარაკებას აწარმოებს აზერბეიჯანთან, რომლის გათავების შემდეგ ქალაქი მიიღებს აზერბეიჯანიდან 50 ვაგონ ფქვილს.

◆ **ერბო.** ქალაქის გამგეობამ ნება დართო სასურსათო განყოფილებას, რომ მან ცენტრალურ სასურსათო საბჭოსაგან შეიძინოს 1000 ფუთი ერბო. ეს ერბო ქალაქის სარიგინო დუქნებში გაიყიდება მცხოვრებლებზე გირვანქა 11 მან. 50 კაპეიკათ.

◆ **სახაზო ნატანებიდან** მათუში იქნა გადატანილი.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრო** იმუშავებს კანონ-პროექტს ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ.

◆ **საგუბერნიო სამმართველოები** თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა 1 მაისიდან გაუქმებულ იქმნენ. შტატ გარეშე დარჩენილი მოსამსახურენი დათხოვნილ იქმნენ საერთო წესით, ხოლო ისინი, ვინც ერობის საქმეზე მუშაობდენ გადაყვანილი იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებაში.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების** მორიგი კრება შესდგება პარასკევს, 16 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე მიხეილის სამკურნალოს რენტგენის კაბინეტში მედ. დოქტ. გრ. რუხაძის თავმჯდომარეობით.

◆ **ლექციები** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები:

მეორე განყოფილება (ვერა) 1) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობა“ 2) ქ. ქავთარაძე „ისტორია“ 3) ექ. ტურიაშვილი „გიგიენა“.

მესამე განყოფილება (ჩუღურეთი) 1) შალამბერიძე „ქიმია“ 2) ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლი“ 3) ალ. ქორქელიანი „ფსიქოლოგია“.

მეხუთე განყოფილება (წმინდა ნინოს უბანი) 1) ოქრომშვილი „ეკონომიური საკითხები“, 2) ი. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა მწერლობა და ცხოვრება“, 3) ექ. ხოშოლავა „ფიზიოლოგია“.

მეექვსე განყოფილება (ერთობის უბანი) 1) ექ. ხოშოლავა „ფიზიოლოგია“, 2) ალ. ქორქელიანი „ფსიქოლოგია“, 3) ი. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** ცენტრალურ შენობაში დღეს, საღამოს 7 საათზე, (მიხაილოვის ქ. სახლი № 91) დანიშნულია გამგეობის, საპატიო კომისიის, შეერთებულ კომისიისა და უნივერსიტეტის ყველა განყოფილებათა წარმომადგენლების კრება ფრიად მნიშვნელოვანი და გადაუდებელ საკითხების გადასაწყვეტათ, შესახებ 17 და 18 მაისის დღის მოწყობისა.

◆ **კონცერტები.** ქალაქის-გამგეობამ ქართ. სამუსიკო საზოგადოებას ნება დართო, მთელი ზაფხულის განმავლობაში კონცერტები მართოს ალექსანდრეს ბაღში და მუშტაიდში.

◆ **თელავის მაზრის კომისარი** ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ უკანასკნელ დროს მაზრაში ძლიერ გავრცელდა მუშა საქონლის ჭირლობა.

◆ **შრომის ბირჟასთან** გაიხსნა წიგნების საკაზმავი სახელოსნო. ამ საქმისთვის გადადებულ იქნა 6000 მ. „უმუშევართა დღეების“ შემოსავლიდან. სამუშევარი განაწილებულ იქნა 10 მკაზმავთა შორის, რომლებიც იმუშავებენ რიგ-რიგობით თითო კვირას.

◆ **მიმდინარე მომენტზე** მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებაზე 11 მაისს, ამხ. ნ. რამიშვილმა მოხსენება გააკეთა. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი განმარტებები მისცა. დაესწრო 300-მდე წევრი.

◆ **ბორჯომის რაიონის** საერობო წვრილ ერთეულების პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

◆ **შავი ზღვის ახპარეზადან** გვერდიულები ვერის რაიონისა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგ რაფიელის დაკარგვაში. სიმონ ბეკია.

◆ **ხეირნობა.** თფილისის ქალთა სავაჭრო გიმნაზია მაისის 18 და 28-ს ახალი კლუბის ბაღში მართავს ჩაის ლატარია-ლოტერეით თავის სკოლის უღარიბეს მოწაფეთა სასარგებლოთ.

◆ **სამაისო კომისიისაგან.** დღეს, ოთხშაბათს, დილის 11 საათზე პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის ბინაზე (ელისაბედის და ნეკრასოვის ქუჩების კუთხე) მოხდება ამ კომისიის კრება საზოგადო ანგარიშის გამოსარკვევად. სთხოვენ კომისიის წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

◆ **ლექცია.** 1-ლი რაიონის მუშათა კლუბში ოთხშაბათს, 14 მაისს, საღამოს 5 საათზე, ამხ. მინადორა ტოროშელიძე წაიკითხავს ლექციას.

კრებები.

დღეს, 4 ნახ. ს. შესდგება ს. ახ. მაზრ. ორგ. ცეკას სხდომა.

— დღეს, 14 მაისს, საკუთარ ბინაზე შესდგება ჩვეულებრივი სხდომა მე 4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივისა.

— 15 მაისს ნაშუადღევის 4 ს. ავლაბრის ძველ-კლუბში (კახეთის ქ. № 1) მესამე რაიონული კოლექტივი იწვევს მესამე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას.

— დღის სამ საათზე შესდგება ამავე რაიონის კოლექტივის სხდომა.

26 მაისისთვის

(ლიტერატორთა საყურადღებოთ)

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია 26 მაისის აღსანიშნავათ, სხვათა შორის, გამოსცემს საგანგებო გაზეთს სახელით „26 მაისი“.

უმორჩილესათ გთხოვთ ამ გაზეთისათვის მოგვაწოდოთ პატარა მასალა, რაც შეიძლება მოკლეთ. სასურველია მასალა შეეხებოდეს დღესასწაულს. მასალა უნდა გამოიგზავნოს აუცილებლათ ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

გთხოვთ მასალას გარკვევით მიაწეროთ სახელი და გვარი.

ადრესი: თფილისი, სასახლე, დამფუძ. კრების კანცელარია, ხელოვნების კომისიას.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია.

P. S. კომისია უფლებას იტოვებს შეამოკლოს წერილები.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

9 მაისს შესდგა ჩვეულებრივი კრება საბჭოსი, რომელმაც გაარჩია კითხვა მომრიგებელ კამერის შესახებ. მომხსენებელი ბახტაძე მიუთითებდა კრებას ასეთი კამერის აუცილებლობაზე. მომხსენებლის აზრით სეკრეტარიატის ყურადღებას იქცევს კითხვა კამერის შესანახ სახსრის გამონახვისა, რადგან თვეურად 6000 მანეთი არის საჭირო, რომელიც სეკრეტარიატს არ აქვს, და მეორე, მიუდგომელ უპარტიო თავმჯდომარის არჩევა. მისი აზრით კი, თუ არ მოხდება მუშა-ხაზეინებს შორის შეთანხმება, მაშინ ქალაქის თვითმართველობამ უნდა დანიშნოს თავმჯდომარე. შრომის კომისარი ეღიაზარიანი აღნიშნავდა ბევრ ნაკლულოვანებას კამერისა და უმთავრესად იმ დიდ გარემოებას აქცევდა ყურადღებას. ხშირია შემთხვევები, მისი აზრით, რომ განაჩენი კამერიდან მისი შემადგენლობის და მიხედვით გამოდის, არის ერთი შემადგენლობა, ერთი განაჩენია, არის მეორე, მეორე განაჩენია, ეს კი კომისრის აზრით, იმის ბრალია, რომ მუშებს, უკეთ რომ ვსთქვათ, იქ მომუშავეებს, არ აქვთ ერთი სწორი სახელმძღვანელო წესდება, თუ გინდ პრინციპიც. მეორე ნაკლულოვანება არის ისეთი აპარატის უქონლობა, რომელიც სისრულეში მოიყვანს კამერის განაჩენს. ბოლშევიკები ნუცუბიძის სახით ილაშქრებენ კამერის წინააღმდეგ, მას არქმევენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ წარმოშობილს და მოითხოვენ მის გაუქმებას. ასე გასინჯეთ, ისინი შრომის კომისარიატის ინსტიტუტის წინააღმდეგაც მიდიან და ყველა ამას მუშების საკეთილდღეოთ სთვლიან.

დასასრულს საბჭომ მიიღო ბახტაძის წინადადება კომისიის არჩევის შესახებ. ერთი კვირის ვადა მიეცა კომისიას წესდების შესამუშავებლად და საბჭოსადმი წარსადგენათ. კომისიის წევრებათ აირჩიეს ბახტაძე, ლომოურჯგინიძე და კუნაძე.

უნდა კიდევ მოვაგონოთ საბჭოს წევრებს, რომ საჭიროა ყველა წევრები აუცილებლად ესწრებოდნენ საბჭოს კრებებს.

ა. თოდრია.

თეატრი და მუსიკა

ქართული სამუსიკო საზ. კრება.

კვირას, 18 მაისს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართ. სამუსიკო საზოგადოების კრება. კრებაზე მოწვეულნი არიან, როგორც წევრები, აგრეთვე ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ორგანიზაციული კითხვა მუსიკალური საქმისა ჩვენში მეტად საყურადღებოა. იმ პირობებში, როგორშიაც დღევანდელამდე არსებობდა ეს საქმე, ყოვლად შეუძლებელია მისი დატოვება; საჭიროა დავეყრდნოთ ერის ცოცხალ ძალას და განვავითაროთ მუსიკალური კულტურის იდეა.

აქამდე ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ასულდგმულებდა რამდენიმე ათეული წევრი და საზოგადოება იქცეოდა უცაბედი „მოწყალებით“. ამიტომ, რა თქმა უნდა, ის ვერ ანხორციელებდა თავის მიზანს მუსიკალური დარგის გაღრმავებისა და ხალხური მუსიკის განვითარების საქმეში, რომ თავის მოღვაწეობის გარშემო თავი მოეყარა ფართე ხალხური ძალებისათვის.

მოწყობა მუსიკის სწავლებისა სკოლებში და გიმნაზიებში, ხალხური კონცერტების გამართვა, სტიპენდიების დანიშვნა, ეროვნული ოპერის დადგმება, შესწავლა კომპოზიტორებისა და მეცნიერების შრომისა, კონკურსების და პრემიების გამოცხადება, სწორი ორგანიზაცია სამუსიკო სკოლების პროვინციებში და სხვ.—აი, ის უმთავრესი მიზანი, რომელიც მორიგ კითხვას შეადგენს.

ახლად გარდაქმნილი ქართული სამუსიკო საზოგადოება თავის მოღვაწეობის გასაფართოებლათ, რომ მუსიკა შეიჭრას ხალხის ცხოვრებაში, საჭიროებს სათანადო დახმარება-თანაგრძნობას საზოგადოებრივი წრეებში და ხალხის წარმომადგენლებში.

აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ყველა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სათანადო ანგარიში გაუწიონ ამ სერიოზულ საქმეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პრესა თანაგრძნობით მოეკიდება და საზოგადოებას მოუწოდებს საჭიროისამებრ გადაწყვიტოთ ყველა საჭირო კითხვები მომავალ არაჩვეულებრივ კრებაზე.

კრების მომწყობი კომისიის წევრები.

ქალაქის საბჭო

12 მაისი.

თავმჯდ. ალ. ლომთათიძე.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა მ. გრუზენბერგის ხსოვნას.

საბჭომ დაადგინა: გადასცეს რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირს 9 წლის ვადით მიწის ის ორი ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ჩერქეზიშვილისა და ცეხოვის ადგილებთან მუშათა კლუბის, ბავშვთა ბაღის, მოედანის და სხვ. გასაშენებლად.

ხელოსან მუშების ჯამაგირების მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი. ის აღნიშნავს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ხელოსანი მუშების და მათი თანაშემწეების ჯამაგირები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან და ხაზს უსვამს იმ შედეგებს, რომელიც შეიძლებელია ამას მოჰყვეს. მომხსენებელი მოითხოვს, რომ დახელოვნებულ მუშებს ქალაქის თვითმართველობისას მიემატოთ 200 მანეთი თვეში. ამ მომატების შემდეგ საერთო ხარჯი გაიზრდება 838 870 მან. 60 კაპ. საბჭომ დაამტკიცა ეს მოხსენება.

სასკოლო სასანიტარო ზედამხედველობის რეორგანიზაციის შესახებ მოხს. გააკეთა შ. მიქელაძემ. მომხსენებლის აზრით, მოწაფეებისათვის საჭიროა სპეციალური დახმარება და ექიმი ვერ ახსძლებს მათ დახმარებასთან ერთად ავადმყოფების მიღებას, ამიტომ ის წინადადებას იძლევა შეიქმნას შტატი 5 ექიმისაგან შემდგარი, რომელიც იზრუნებს მოწაფეების ჯანმრთელობისათვის. ექიმის თანაშემწეთა შტატი უნდა მოისპოს. 4 ადგილას უნდა დაარსდეს ამბულატორიები და მოწაფეების დახმარება ამ ამბულატორიებიდან, უნდა ხდებოდეს. მხოლოდ ექიმი ვალდებული იქნება მივიდეს ავადმყოფ მოწაფეთა ბინაზე და დახმარება აღმოუჩინოს მათ.

საბჭომ ეს საკითხი სასკოლო კომისიას გადასცა განსახილველად, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოუდგინოს საბჭოს.

ქალაქის თავი მოხსენებას აკეთებს გოგირდის აბანოების იჯარით გაცემის შესახებ. მომხსენებლის სიტყვიდან სჩანს, რომ 8 საკუთრისა აბანო უკვე გაცემულია იჯარით 1,250,000 მანეთად, მხოლოდ ჯერ ეს არ დაუმტკიცებია მთავრობას. მომხსენებელი აუცილებელ საჭიროდ სთვლის ყველა აბანოების ქალაქისათვის გადაცემას და წინადადებას აძლევს საბჭოს უფლება მისცეს გამგეობას, რომ მან აირჩიოს კომისია, რომელიც იზრუნებს ყველა აბანოების ქალაქის ხელში გადასვლისათვის. საბჭომ მიიღო ქალაქის თავის წინადადება.

მომრიგებელ მოსამართლეებად საბჭომ ფარული კენჭის ყრით აირჩია ი. ჭყონია და ვლად. ჯაფარიძე. დასასრულ საბჭომ მოისმინა გრ. ველიხანის შეკითხვა პურზე ფასის გადიდების შესა-

---

რისაც ის მოითხოვს, მაშინ თქვენც ფულები გაქვთ, მთავრობას მოთხოვეთ: აი ესა და ეს გადაგვიკეთეო.

— ერთი ეს აგვიხსენი მასწავლებელო, ფულს ჩვენი მთავრობა არა ჭრის?

— ჩვენი მთავრობა ჭრის.

— მერე და ბევრი მოჭრას, რადა ჩვენ გვახდევინებს?

— ალბათ ბევრი ჰფიქრობთ ზარაფხანასავით, დაიწყო მასწავლებელმა, მოჭრის მთავრობამ რამდენიც უნდა, რადა ჩვენ გვთხოვსო. საქმე იმაშია, რომ თუ მთავრობა მუდამ ფულსა სჭრის და უკან კი აღარ უბრუნდება მას, ფულის რაოდენობა მთელს და მთელს მეტათ იზრდება, ფული ყველას ბლომათ უგროვდება და მაშინ მას ფასი ეკარგება. აი ასე მოხდა სწორეთ დღესაც. გადასახადი არ შემოდიოდა, მთავრობას ბევრი ხარჯი ჰქონდა; ის იძულებული იყო, ფული ეჭრა და ეჭრა ამ ხარჯების დასაფარავათ; ქაღალდის ფული გამრავლდა; ვისაც წინეთ ათი თუმანი არა ჰქონდა იმას დღეს ასობით და ათასობით აქვს და ამის გამო ფულს ფასი დაეკარგა.

ერთი ეს მითხარით, ვინ ზარალობს ამით? ისევ თქვენ და თქვენი მთავრობა თუ გადასახადები არ შეიტანეთ, მთავრობამ ისევ ახალი ფული უნდა მოჭრას, რომ ხარჯები გაისტუმროს; მაშინ ფული კიდევ უფრო გამრავლდება და მისი ფასიც უფრო დაეცემა და სახეირო ეს თქვენთვის? შეიტანეთ გადასახადი მთავრობის ხაზინაში, მთავრობას ფული მოუგროვდება, ახალის მოჭრა აღარ დასჭირდება, ფულის ფასიც აიწევს, თქვენც მოგებული დარჩებით, მთავრობაც ხარჯებს ადვილათ გაისტუმრებს.

— ეგ ყველაფერი მართალია, მასწავლებელო, მარა რაღა მარტო ჩვენ გვახდევინებს მთავრობა, ყველას უნდა გადაახდევინოს.

— მარტო გლეხები ცოდვა ვართ.

— ვინ გითხრათ, გადასახადს მარტო გლეხებს აწერს მთავრობა? იკითხა მასწავლებელმა.

— რა ვიცი, ასე კი ამბობენ და!

— ამისთანა ხმებია, მასწავლებელო.

— ეს ყველაფერი ტყუილია. მთავრობამ უნდა შემოიღოს ერთნაირი გადასახადი საკუთარ მიწაზე—ყანა ვენახსა და ბაღებზე შემოსავლის კვალობაზე. ნაკლებ მიწაზე ნაკლები იქნება გადასახადი, საუკეთესოზე მეტი.

— ამბობენ, მასწავლებელო, დესეტინაზე ათი თუმანი დაუდვიათო და მაგას ვინ აიტანს?

— ამას წინეთ როგორ ვყიდე ფუთი სიმინდი გეო?—დაეკითხა მასწავლებელი.

— ათ თუმნათ.

— უჰ, ღმერთი არა გწამს? მაგდენი როგორ გადაახდევინე?

— შე დალოცვილო, ათი თუმანი ახლა რა ფულია, წინანდელ მანეთს თუ უდრის.

— ახლა ამაზე მიპასუხე გეო, რომელსაც შენ ახდევინებ, მაშინ ათი თუმანი არაფერი არ არის და რომელსაც შენ გახდევინებენ, მაშინ კი დიდი ფულია ეს ათი თუმანი?

— მაი დედასა, სად დაგიჭირა მასწავლებელმა, გეო?

— უპასუხე რაღა გეო, რას გაჩუმდი? —შეიქნა გლეხებში სიცილი.

— მართალი ხარ მასწავლებელო,— დაეთანხმა გეო,—ხარჯი რომ ბევრი გვაქ, ჯიბეს ხელს ვუჭერთ, თორემ ათი თუმანი დღევანდელ დღეს აღარაფერი აღარ არის.

— შენ რომ ბევრი ხარჯი გაქვს ჩემო გეო, მთავრობას რამდენჯერ მეტი ხარჯი აქვს, არ იკითხავ? თუმცა არც მაგდენი მოუწევს დესეტინაზე, როგორც თქვენ ლაპარაკობთ, მაგრამ რამდენიც უნდა იყოს, მთავრობას უნდა დაეხმაროთ, იმიტომ, რომ ეს მთავრობა თქვენი მთავრობაა და თქვენს საქმეს აკეთებს. ყველა უნდა მივეხმაროთ და ამ მთავრობას მისცეთ, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს, ჯარს შენახვა უნდა, მილიციას, სხვადასხვა მოხელეებს; გასაკეთებელი ძალიან ბევრია და ყველაფერი ამას დიდი ფული სჭირდება.

ღვთის მადლით თქვენს შრომას დღეს კარგი გასავალი აქვს, ფული გაქვთ და თქვენ რომ ბევრს იღებთ, მთავრობასაც უნდა მისცეთ, რაც მას დასჭირდება, თორემ ქვეყნის საქმეს მთავრობა თავს ვეღარ გაართმევს, მტერი ხელს დაგვრევს, აგვაოხრებს და უმალ თქვენ დაიღუპებით.

— მართალი სიტყვაა!

— ახალციხიდან თათრები დაგვესხენ თავს, ოფხაზეთიდან დენიკინი. ამათ რომ გაემარჯვათ და ჩვენში გადმოსულიყვნენ, სულ ტყავს გაგვაძრობდენ,— მთელ საქონელს გაირეკავდენ, წვრილ ფეხს სულ შესჭამდენ, ერთ მარცვალს აღარ დაგვიტოვებდენ და ბევრს თქვენგანს კიდეც ამოჰჟლეტდენ.

ჩვენმა მთავრობამ დაამარცხა ისინი, დაგვიფარა დიდი და საშინელი უბედურებისაგან, მაგრამ ამას დიდი ხარჯი დასჭირდა, ბევრი მილიონები.

რამდენი ხარჯია კიდევ მოსალოდნელი და საჭირო, აუცილებელი, ვინ ჩამოთვლის. მთავრობამ რომ ახლა გადასახადი შემოგვწეროსო, განა უსამართლო იქნება?

— უნდა დავეხმაროთ უთუოდ!

— რაკი ასე ყოფილა საქმე, შევიტანთ ყველა, რასაც მთავრობა შეგვაწერს.

ოღონდ ჩვენი საქმე რიგიანად დააბოლოოს, რომ მტრის სასაცილოთ არ გავხდეთ და, რაც უნდა მოგვეთხოვოს და გადავიხდით ფულსაც, უკან არ დავიხევთ.

ამ მუსაიფით ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ივ. გომართელი.

ხებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: საბჭოს დამაკმაყოფილებლად მიაჩნია გამგეობის განმარტება გრიგოლ გეგელიანის შეკითხვის შესახებ და ავალებს საბჭოს მიიღოს ზომები პურის შესაძენად და სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ამასთანავე მიღებულ იქნას ზომები, 1) პური არ იქნას გატანილი საქართველოს ტერიტორიიდან, 2) მიექცეს ყურადღება, რომ მომხმარებელთა რიცხვი ხელოვნურათ არ იზრდებოდეს და 3) მოისპოს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში სიმინდის გადატან-გადმოტანის შეზღუდვა.

დ. ბ.

თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მთავარმა კომიტეტმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციას.

მოხსენებაში ვრცლად არის მოყვანილი პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსების ისტორია. ამიერ კავკასიაში და კერძოდ თბილისში დიდი ხანია რაც სურვილი გამოითქვა დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი. ჯერ კიდევ, 1880 წელს ქალაქის საბჭომ დაადგინა მომავალ უმაღლეს სასწავლებლისათვის გადაედო ქალაქის კასიდან შენობის ასაგებად 100,000 მან. და დაეთმოს უმაღლეს სასწავლებელს შენობისათვის ადგილი.

ეს იყო პირველი რეალური ნაბიჯის გადადგმა და ამ ხნიდან მოკიდებული ქალაქის საბჭო და ადგილობრივი მოწინავე საზოგადოება ღებულობდენ ყოველგვარ ზომებს, რათა დიდი ხნის ნატვრა ასრულებულიყო და დაარსებოდა კავკასიას უმაღლესი სასწავლებელი.

1906 წელს, თბილისში სომეხ თათართა შეტაკების გამო მოწვეულ თათბირზე გამოითქვა სურვილი, რომ დაარსებულიყო თბილისში უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ხელს შეუწყობდა ნაციონალური შუღლის მოსპობას. ამ ხნიდან დაარსდა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მთავარი კომიტეტი.

6 მაის 1917 წელს იქნა დამტკიცებული დროებითი მთავრობის მიერ, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსების ნებართვა. დამტკიცებულ პროექტის თანახმად, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ოთხი ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო: სამეურნეო, ქიმიური, პიდრო მექანიკური და ეკონომიური. თბილისიდან გაგზავნილმა საგანგებო დელეგაციამ წარუდგინა დროებით მთავრობას მოხსენება, სადაც მოითხოვდენ 1918 წ. პირველ იანვრიდან გაეხსნათ ზოლოდ სამეურნეო ფაკულტეტი. დელეგაციის მოხსენება თათბირის მიერ მიღებულ იქნა. აირჩიეს რუსეთში ცნობილი და დამსახურებული პროფესორები და აღნიშნულ დროს გაიხსნა სამეურნეო ფაკულტეტი.

1918 წლის 11 აპრილს ჩამოვიდა თბილისში პროფ. ლიმბაროვი, მას დავალა ეკონომიურ ფაკულტეტის მოწყობა. ამავე წელს კიდეც გაიხსნა ეს ფაკულტეტი. რაც შეეხება პიდრო მექანიკურ ფაკულტეტს, მისი გახსნა დღევანდლამდე ვერ მოხერხდა, რადგანაც ვერ გამოინახა ისეთი პირი, რომელსაც დაეკისრებოდა ამ ფაკულტეტის დეკანობა.

პოლიტეხნიკური ინსტიტუტი მატერიალურათ არ არის უზრუნველყოფილი. 1919 წლის ბოლომდე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს ესაჭიროება 600,000 მან. შემოსავლის ფული კი შემოვა მხოლოდ 200,000 მან. დეფიციტი იქნება 400,000 მან. მომავალ 1920 წლისათვის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ხარჯთ აღრიცხვა უდრის 1,300,000 მან. შემოსავალი კი შემდეგი იქნება. სწავლის ფული 600,000 მან., დახმარება ქალაქის საბჭოდან 30,000 მან., მთავარ კომიტეტისაგან 100,000 მ. სულ 730,000 მან. მაშასადამე, საერთო ხარჯების დასაფარავათ 570,000 მან. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი მოკლებულია საშუალებას მოიწვიოს ღირსეული და მცოდნე პროფესორები, რადგანაც არ არის გარანტია, რომ ისინი მატერიალურათ უზრუნველყოფილი იქნებიან. მომხსენებლები მოითხოვენ, რომ კონფერენციამ გაითვალისწინოს რა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დიადი მნიშვნელობა, აღმოუჩინოს მას დახმარება და იცნოს იგი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების დაწესებულებათ. ოთხივე რესპუბლიკებმა უნდა იკისრონ თავს ამ ინსტიტუტის შენახვა.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი მატერიალურათ და იყოლიონ თავიანთ წარმომადგენლები მთავარ კომიტეტშიც.

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 11 მაისს შესდგა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება. ინსტრუქტორთა მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ტალახაძე. კრების უმრავლესობამ მოიწონა მთავრობის პოლიტიკა. ტალახაძემ კრებას გააცნო უკმაყოფილება ტრამვაის მუშებში ჯამაგირების შესახებ. კამათის შემდეგ კრებამ იყარა რეზოლიუცია და ხმის უმეტესობით უცვლელად გავიდა შემდეგი: „მერვე უბანში მცხოვრებ პარტიულ ამხანაგების საერთო კრებამ იქონია მსჯელობა დღევანდელ ეკონომიურ სიდუხჭირეზე, სპეკულიაციაზე და მუშების მატერიალურ სიღარიბეზე. დაადგინა: რადგანაც ჯამაგირების მომატება სპეკულიანტების და საერთოდ ვაჭრების ჯიბეს უფრო ავსებს, ბაზარზე სურსათის ფასს უფრო სწევს და მით მუშის მდგომარეობა სრულებით არ იცვლება გაუმჯობესებისაკენ; ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, რომ მიიღოს ენერგიული ზომები სპეკულიაციის ასალაგმავად) [illegible], პირველი [illegible] ნივთების საქონლის, რაც შეიძლება მეტი შემოიტანოს, იაფ ფასებში და მით გაუმჯობესდება მუშების მდგომარეობა“. კოლექტივის წარმომადგენლების კრებაზე დასასწრებლად აირჩა ამხ. ჩუბუნიძე.

შალვა გომართელი.

სახალხო გვარდიისთვის

ფოთის ნავთსადგურის გადამტან-დამტვირთავ მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა სოჭის ფრონტის გახსნიდან 1 მაისამდე თავის თავზე მიიღო ფრონტზე წასული კავშირის წევრების (გვარდიელების) ნივთიერათ უზრუნველყოფა, რისთვისაც სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გულითად მადლობას უძღვნის ზემო მოხსენებულ პროფესიონალურ კავშირს.

თავმჯდომარის ამხანაგი დ. ხაგიაშვილი.

ორთაჭალის სახალხო გვარდიის შტაბის პრეზიდიუმი მადლობას უცხადებს ქვემორე ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და გვარდიელების ოჯახების სასარგებლოთ შემოიტანეს შემოწირულება: დიმიტრაშვილი მიშა 150 მ., ბზეიძე იორამ 50 მ., ქსენოფონტოვი ალექსანდრე 50 მ., არონიძე პავლე 50 მ., ოსიპიანც 20 მ., პაპაშვილი 10 მ., ყარაჯიშვილი მელხაზ 10 მ. სულ 340 მანეთი.

აღნიშნული ფული გადაეცა სრულად მთავარ შტაბს დანიშნულებისამებრ ამხ. ალიხანოვის ხელით.

რაიონულ შტაბის მდივანი მ. ნაკაიძე.

მუშათა შორის

ბათუმის ბეჭდვითი საქმის კავშირში 60 წევრამდე ითვლება, მაგრამ კავშირი უხელმძღვანელობის გამო დიდ სისუსტეს განიცდის. კავშირს ჯერ არ შეუმუშავებია სახელმძღვანელო წესდება, რის გამო წევრებში დიდი არევ-დარევაა. წევრები რამოდენიმე ჯგუფებათ არიან დაყოფილნი. დღეს ერთი ჯგუფის გადაწყვეტილება ქვეყნდება და ხვალ მეორისა. ასეთი მდგომარეობა კავშირს არ აძლევს საშუალებას, რომ ის დაადგეს ერთნაირ გადაწყვეტილებას და ერთნაირ ხაზს. არის ასეთი მაგალითიც, რომ ერთ რომელიმე ჯგუფს თუ გადაუწყვეტია ჯამაგირების მომატება და ჩამოუვლია „ხაზეინებში“ შეუკითხავად: დააკმაყოფილებთ თქვენ მუშებს თუ ვერა? და ასეთი განცხადებები სწარმოებს ხელმძღვანელის კავშირში. ამიტომ მოვუწოდებთ ბათუმის სტამბის მუშებს, რომ შეერთდენ და დაადგინონ ყოველივე დეზორგანიზაციული მოქმედებები და მით ხელი შეუწყონ კავშირის განმტკიცება-გაძლიერებას.

26 აპრილს შესდგა საერთო კრება ზემოხსენებულ კავშირისა, რომელსაც წევრები ბლომათ დაესწრო. დღიური წესრიგი იყო: 1) ტარიფის გადიდება, 2) „უსტავის“ წესდების განხილვა და დამტკიცება. ტარიფის გადიდების შესახებ გამგეობის წევრმა მ. ვეგნანსკიმ მოკლე მოხსენება გააკეთა, მან აღნიშნა, რომ კავშირთა კავშირის საბჭომ გამოიმუშავა ხუთი კატეგორია და ჯამაგირები 1500 მანეთი, ზოლოდ კატეგორიების დაწესება და მათი ჯამაგირების დანიშვნა მიანდო თვით პროფესიონალურ კავშირებსა. კავშირთა-კავშირის გადაწყვეტილება კრებამ ერთხმად მიიღო და დაადგინა ტარიფი იქნას გადიდებული შემდეგი რიგით: 1 კატეგორიას დაენიშნოს 1500 მანეთი, მეორეს 1350 მ., მეორეს და მესამე შუა კატეგორიას 1100 მანეთი, 3 კატეგორიას 950 მან. ტარიფის გადიდება შევიდის ძალაში 1 მაისიდან, რაზედაც ხაზეინები დასთანხმდენ. გამგეობამ წარუდგინა კრებას „ოსტავის“ წესდება განსახილველათ, მაგრამ ვერ სცნო წესდება კარგათ შემუშავებულათ და აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო წესდების შემუშავება.

გ. დლონტი.

პროვინცია

ბორის მაზრა. ამას წინათ მოვიხილე რამდენიმე სოფელში სახელდობრ: ახალქალაქში, ხანდაკში, ყარალეჯში, გრაკალში და ქაჩაგანში. ამ სოფლებში, თუმცა ბევრი ხილეულობა მოჰყავთ, მაგრამ უფრო მეტად ვაზი. მაგრამ რაც შეიკრა ტყეები, შეუძლებელი გახდა სარის ტყიდან გამოტანა, რომ დროზე შეესხარათ, ქვრიტი არ გადეიძებულიყო და ვაზისათვის ზიანი არ მიეყენებინა. გლეხები კითხულობდენ: რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა, რატომ ნებართვას არ გვაძლევს, რომ სარი გამოვიტანოთ, რომ მთელი წლის ამაგი და სარჩო უსარობით და ვაზის წაქცევით არ ჩაგვეღუპოს. დღესაც ბევრს ვენახს, უსარებათ დარიბი გლეხისას, ნახავთ, რომ ტოტები ფეხით დელის. ჩვენის აზრით ამ გარემოებას ყურადღებას უნდა აქცევდეს ჩვენი ერობა და დაეხმაროს როგორც სარით, გოგირდით, შაბიამნით, სამეურნეო იარაღით და დარიგებით, ისე განკარგულებებით.

ამ ადგილებში ხშირათ შეხვდებით წყლის პირებში, ჭაობებში, სახნავი მიწების საზღვრებზე ხელოვნურათ მოშენებულ ნერგებს, რადგან ორი-სამი წლის განმავლობაში ერთხელ ეზრდება ტოტები, რომელსაც ჰკაფავენ. ეს სარი არ არის გამძლე. დიდს სარგებლობას მოუტანს გლეხკაცობას, რომ ნერგი შესცვალონ თუთის (ბჟოლა) ხით, რომელიც სამნაირ სარგებლობას მოუტანს, ე. იგი როგორც ძალიან გამძლე სარს, თუ ნაყოფიერია, გამხმარი ძალიან ძვირფასი ხილია ზამთარში, მისგან სპირტიც გამოიხდება. მისი ფოთოლი, ხომ დიდი სიმდიდრეა მეაბრეშუმეობისათვის და ჩვენ გლეხკაცობას შეუძლიან ფართოდ მოჰკიდოს ხელი ამ დარგს და აუცილებელიცაა,

ქახვრელელი.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი:

ყვირილა—შორაპნის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბთან არსებული კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გვარდიის გაწმენდა, აცხადებს შემდეგს: გვარდიიდან გამორიცხულია სხვა და სხვა მიზეზების გამო შემდეგი პირები: დავით მურუსელიძე, ალექსი ცხვილიშვილი, დავით ლაბაძე, გრიგოლ ეროხინენკო, გიორგი ჭეშმარიძე, ივლიანე მიქაძე, ვარლამ ლაღიძე, მიშა ლუტიძე, ნოე ჯაფარიძე, იპოლიტე კუპატაძე, ალექსანდრე მიმინოშვილი, ისიდორე ქათამაძე, ლავრენტი მაღრაძე, ამბროსი გეწაძე, ალექსანდრე სენიაშვილი, ამბროსი ფერაძე, დავით ქუთუხაშვილი, კოლია ასათიანი, რაჟდენ ქათამაძე, კონსტანტინე დოუკაძე, არჩილ კაპანაძე, კოკია გაბრიელი, ბარაბაძე, ვარლამ ბარბაქაძე, ივანე არაბიძე ვასილი და საყვარელიძე სილოვანი.

ყვირილა-შორაპნის სახალხო გვარდიის შტაბი.

10 მაისი, 1919 წ.

განცხადებანი

11 მაისს საღ. ყვირილაში ღამის პირველ საათზე ვიღაც უცნობმა შემაბარა ტიკი ღვინით, დაახლოვებით ერთი ფუთი, შემდეგ პატრონი აღარ გამოჩნდა, ტიკი მე წამოვიღე. პატრონს შეუძლიან მიაკითხოს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 188

გიორგი გოგავა.

განცხადება

სასურსათო განყოფილება თბილისის ქალაქის თვითმართველობისა, იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ საექსპლოატაციოთ აიღონ ქალაქის ხორცის დუქნები. პირობების გაგება შეიძლება სასურსათო განყოფილებაში (შტაბისა და სასახლის ქ. კუთხე). განცხადების მიღება სწარმოებს ა. წ. 20 მაისამდე.

თფ. ქ. თ. სასურ. განყოფილება (3—2)

მიხეილის და ტატიანის ქუჩის კუთხეში გაიხსნა რესტორანი

„დარიალის უშჩელი“

არის სადილი და ვახშამი ზომიერ ფასებში. უკრავს ორკესტრი. არის ცალკე ოთახები. რესტორანის პატრონი იასონ კობერიძე. (4—2)

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით 14 მაისს შულგინას, ვიშნევსკაიას, მორთხოვის, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით მე 12 ჯერ

აბესალომ და ეთერი

დამკარგა მოწმობა ქალაქის სამართველოში მიცემული მესამე რაიონულ კოლექტივიდან საქ. სოც. დემ. მ. პ. მოწმობას ვაცხადებ გაუქმებულათ. ი. დოგრაშვილი.

ექიმი ზახარიონი პოპოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალთა და სამეანო ავადმყოფებს [illegible] საღ. 5—7 საათ., ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი ა. მ. პაატაშვილი
იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებათა ავადმყოფებს ყოველდღე, გარდა შაბათისა, საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 43.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი დ. ა. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათ ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა [illegible], გუნიბის ქ., № 41. ტელ. № 14—60.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე
იღებს სიფილისურ-ვენერიულ—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვების, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. [illegible]. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი
[illegible] ასისტენტი [illegible]. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგებით დახმარებას. [illegible]. დილით 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 8—26.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით) ექიმი **ლოხნინსა** ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათ. საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **ი. ბ. მუზარაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. [illegible]. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სამშობიარო და ქალურ სნეულებებიან ავადმყოფთ დილით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმპათიის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ნ. ა. შუშანია.
სპეციალისტი სიფილისისა და მისი შედეგების (წამალი 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებისას საღამოს 4—5 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქ. № 33.

ექიმი მ. ი. ხარიტიანი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღის ქუჩა № 24, ტელეფ. 1—35

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, გულის, ფილტვის და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პრ. 34. ტელ. 10—81.

გახსნილია კერძო სამკურნალო მუდმივი საწოლებით. მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფონი 5—97. ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, [illegible] აბაზა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი მ. ძლიაშვილი
სპეციალურად: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფები: მალარია, ტუბერკულოზი, გულის, ფილტვების და ნაწლავების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლში გარდა ღებულობს ავადმყოფებს ვაგზლის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროპავლოვის ქუჩა, კუთხე მიხაილოვის პროსპექტის, კირპიჩნის ქუჩის მახლობლათ ტელეფონი 8—48.

„დედათა და ბავშვთა დაცვის“ კომისია აწყობს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სადგომში (გოლოვინის პრ. № 10) 4 კვირიან კურსებს

„შკოლის ასაკამდე აღზრდა“

პროგრამა: დედათა და ბავშვთა დაცვა. ბავშვთა გიგიენა. დედის გიგიენა. ბავშვის ფსიხოლოგია. ბავშვობის ხანის ფსიხოლოგია. შკოლის ასაკამდე აღზრდის სისტემები. აღზრდა. საბავშვო [illegible] თამაშობა და ხელსაქმობა. დედის [illegible]. დასაწყისი 22 მაისს. მეცადინეობა ყოველ-დღე საღამოს 5—7 საათ. ოთხშაბათობით საბავშვო სადამოები ბავშვებისა და მსმენელების მონაწილეობით ჩაწერა და დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება წიგნების ცენტრალურ სავაჭროში (გოლოვინის პრ. № 9)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ორშაბათს 12, სამშაბათს 13 და ოთხშაბათს 14 მაისს 10—1 საათამდე

მიიღება სამეურნეო ბანკში

(თბილისი, სასახლის ქ. № 6) ხელის მოწერა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციებზედ.

თითო აქცია ღირს 300 მანეთად, რომელიც შემოტანილ უნდა იქნას 3 ვადაში. ახლავე უნდა შემოტანილ იქნას თითო აქციაზე პირველი ხვედრი ფული 50 მან. დანარჩენი ვადები გადაწყვეტილი იქნება საზოგადო კრებაზე. თითო აქციაზე ხარჯებისათვის (კვიტანციის მარკები და სხ.) უნდა შემოტანილ იქნას აგრეთვე თითო მანეთი. ყოველგვარ ცნობებს მიაწვდის აქციონერთ დამფუძნებელთა რწმუნებული სამეურნეო ბანკის დირექტორი პ. ა. გოთუა. (3—3)

ოთხშაბათს მ. წ. 14 მაისს ქალაქის თვითმართველობის საიჯარო-საადგილმამულო განყოფილების მიერ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა ქალაქის საწყობი, მოთავსებული ჯარისკაცთა ბაზარში, მუხრანსკის სახლში და მიწა კარუსელის დადგმაზე (1 ადგილი).

კონდიციების გაცნობა შეიძლება საიჯარო-საადგილმამულო განყოფილების კანცელიარიაში (ქალაქის თვითმართველობა), ყოველდღე უქმეების გარდა, დილის 10—12 საათამდე. (3—3)

[illegible] შესახვევი. № 1.